სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის სტუდენტების წარმატება

პროექტის და ვორქშოფის შედეგები: დიალოგის პლატფორმა: ცხოვრების ხარისხი ურბანული მემკვიდრეობის დაცვა

2019 წლის 7-12 ოქტომბერს და 4-12 ნოემბერს სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის სტუდენტებმა მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო პროექტში თემაზე: „**დიალოგის პლატფორმა: ცხოვრების ხარისხი ურბანული მემკვიდრეობის დაცვა**“.

დიალოგის პლატფორმის მიზანია თბილისის ურბანული მემკვიდრეობის, ურბანული ლანდშაფტის და ურბანული კულტურის შესანარჩუნებლად პროფესიონალების და საზოგადოების გაერთიანება. პლატფორმის თემებია: ცხოვრების ხარისხი და ქალაქი, მისი ისტორია, დრევანდელობა და სამომავლო მდგრადი განვითარების პერპექტივა; ურბანული მემკვიდრეობის და ურბანული კულტურის როლი; ურბანული ლანდშაფტის - საჯარო და მწვანე სივრცეების ახალი სიცოცხლე.

დიალოგის პლატფორმის ორგანიზატორია Studio L და Friedrich-Eber-Stiftung - ის კავკასიის რეგიონალური ოფისი;

პროექტის ფარგლებსი მოეწყო საჯარო ლექციები, სემინარები, ვორქშოფები, ელჩების საუბრები ურბანულ მემკვიდრეობაზე. მომხსენებლები: ელიზაბედ რუდი - ამერიკის ელჩის მოვალეობის შემსრულებელი საქართველოში; ტადაჰარუ უეჰა - იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში, ლენა კილაძე, ცირა ელისაშვილი, თამარ ამაშუკელი და მისაკ ტერზიბასიანი UArchitects (ნიდერლანდები) დამფუძნებელი.

პროექტში, გარდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა მონაწილეობას იღებდა: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს უნივერსიტეტი, კავკასიის უნივერსიტეტის, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია და SDSU;

ჩვენი ფაკულტეტიდან აღნიშნულ პროეტში მონაწილეობა მიიღო ორმა გუნდმა.

ორივე გუნდმა წარმოადგინა საკუთარი ხედვები და მოამზადეს პრეზენტაციები „ქალაქი და მეხსიერება“.

2019 წლის 12 ნოემბერს მწერალთ სახლში გამოვლიდნენ გამარჯვებული გუნდები

პირველი ადგილი და სეთიფიკატი გადაეცა სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის სტუდენტთა გუნდს მარიამ ღვინეფაძის, ელენე ღვინეფაძის, ანა ნაცვლიშვილის, დეა ხიზანიშვილის, თორნიკე დუნდუას და მარიამ ძიმისტარიშვილის შემადგენლობით.

მეორე ადგილი და სერთიფიკატი გადაეცა სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის გუნდს ნიკიტა ტიმოშენკოს, ანასტასია კენჭაძის, თორნიკე ჭიკაძის, აჩი გაგელიძის და მარიამ ნიშნიანიძის შემადგენლობით.

ვულოცავ ჩვენს სტუდენდებს გამარჯვებას!

EXIT

გამარჯვებული გუნდების პრეზენტაციები იხილეთ მიმაგრებულ ფაილში